ის მოღწევები, რომლებიც მოვიპოვეთ აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის დროს უნდა განვამტკიცოთ დამზადების გეგმების მთლიანად და დროზე შესრულებით. რაც წელს პარტიულ ორგანიზაციებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ზემდგომ პარტიული ორგანიზაციების დადგენილებით ისინი არიან უშუალო პასუხისმგებელი აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

აბრეშუმის პარკის მიმღებმა პუნქტებმა ფართედ უნდა გააცნონ მეაბრეშუმეებს საკონტრაქტაციო პირობები. ამისათვის პარკის მიმღებ პუნქტებთან უნდა მოეწყოს საკონსულტაციო ბიუროები, რომლებიც ყოველგვარ რჩევა-დარიგებას მისცემენ მეაბრეშუმეებს.

მთელი ძალები და ენერგია აბრეშუმის პარკის დამზადების ვადაზე ე. ი 1 აგვისტომდე დამთავრებას.

თ. ქ—ია.

საქირო მუშაგლეხინის ხელი

(სამტრედიის რაიონი, სოფ. დიდი ჯიხაიში)

ეს ეთი თვის წინად, სოფ. დიდი ჯიხაიშის კოოპერატივში ნოქრის თანამდებობაზე დაინიშნა სიმონ ბიბილეიშვილი, რომელიც სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა გამო 1932 წელში სამტრედიის რაიმუშკლებინმა მოხსნა ამ სამუშაოდან. სამტრედიის რაიმუშკლებინმა ახლა არ მიუცია ბიბილეიშვილისათვის კოოპერაციაში მუშაობის ნება; მაგრამ ადგილობრივი კომუკრედის მდივნის დახმარებით ამ კომბინატორმა შესძლო მოწყობილიყო მისთვის სასურველ ადგილას.

ბიბილეიშვილი ახლაც განაგრძობს კომბინატორობას. ა.-წ. მაისში აბრეშუმის დამზადებაზე მოსულ სარეცხის საპონში (თითო ნაჭერში) 140 კაპ. ნაცვლად მეაბრეშუმეებს მან გადაახდევინა 280 კაპ. ამის გამო მეაბრეშუმეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ.

ჯიხაიშის კოოპერაციას სათანადო ყურადღება სჭირდება მოაქციოს სამტრედიის რაიმუშკლებინმა. კომბინატორი ს, ბიბილეიშვილი სამუდამოდ უნდა მოშორდეს კოოპერაციის აპარატს.

მეთვალყურე.

ა.-კ. სამთო ტრესტის ლიკვიდაცია

ა.კ. სახკომსაბჭოს 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის ა.-კ რწმუნებულის სამმართველოს ბრძანებით ხდება ა.-კ. სამთო ტრესტის ლიკვიდაცია. დაარსებულია სალიკვიდაციო კომისია. ამ კომიტეტების გამგებლობა, რომლებიც წინათ შედიოდა ა.-კ. ლიკვიდირებული სამთო-ტრესტში, დროებით გადაეცემა ა.-კ. მძიმე მრეწველობის რწმუნებულის სამმართველოს სამთო-მადნო სექტორს.

ქუთაისის გუმბრინის რეორგანიზებული იქნება ორ დამოუკიდებელ სამადნო სამმართველოდ ტრესტების უფლებებით—საქმე რიტი და გუმბრინი. საქმიანობის შემადგენლობაში შეელენ ქუთაისის ბარიტის ქარხანა, ახალწოფლის, ჟონეთის, მექვენის და წიფლარისუბნის, აგრეთვე ღვედის და ხვანლის რაიონების საბადოები.

გუმბრინის სამადნო სამმართველოს გამგეებლობაში გადაეცემულია გუმბრინის ქარხანა, რომელიც ამჟამად შენდება. გუმბრინის ქარხნის მშენებლობის დამთავრებამდის გუმბრინის დაფქვა მოწარმოებს ქუთაისის ბარიტის ქარხნებში.

ბარიტის მაღაროები და გუმბრინის კარიერები ორგანიზებულ იქნებიან, როგორც დამოუკიდებელი სამშრომელი ობიექტები ბარიტ-სამმართველოებად (ტრს).

სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობა დიდუბეში

მოქმარებელს იაფი და კარგად შეკერილი ტანსაცმელი

(მკერავტრესტის ფაბრიკა № 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ივნისს, ქარხანა „სერპ ი მოლოტ"-ში გაიხსნა საქარხნო პარტიული კონფერენცია თვითღირებულების საკითხზე. ბეერისათვის მოულოდნელი იყო კითხვა, რომელმაც კონფერენციაზე ცენტრალური ადგილი დაიჭირა.

რა არის თვითღირებულება და რა ელემენტებისაგან შესდგება იგი?

აი, რაზე მოითხოვდენ ამომწურავ და გარკვეულ პასუხს. და როცა კონფერენციის დელეგატები სერიოზულად შეჩერდენ მასზე — ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ამ კითხვის დასმა სრულიად ბუნებრივი იყო.

ეს იყო უდიდეს მეტალურგიულ ქარხანაში; ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საქ. მკერავტრესტის № 2 ფაბრიკაში 22 მაისის ერთიან პარტიულ დღესთან დაკავშირებით გამოყოფილმა ბრიგადებმა ვერ გამოარკვიეს თვითღირებულების შემცირების გეგმის შეუსრულებლობის ნამდვილი ძირები.

— ამხ. საკოვ, მე დავიბეჭდი, დავალება ვერ შევასრულე, თვითღირებულების დარგში არაა მაინც და მაინც სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ რა არის მიზეზი, ვერ გეტყვით, ასე მიმართა ერთი-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. **მარიამ კირიეევამ** ფაბრიკის პარტკომის მდივანს.

და განა მარტო მარია კირიეევა იყო ასეთ მდგომარეობაში? სრულიადაც არა.

მაშინ ამხ. საკოვი სერიოზულად ჩაფიქრდა.

— ნუ თუ ჩვენმა მუშებმა მართლაც არ იციან რა არის თვითღირებულება და რა ელემენტებისაგან შესდგება იგი?

გამოუძახა ფაბრიკის წაბეჭდი გაზეთის „წითელი მკერავი"-ს რედაქტორს და გაიზიარა მას თავისი აზრი. ორივემ შემოიარეს სამჭრობები, გამოკითხეს რამდენიმე მუშას და დამაშაყოფილებელი პასუხი ვერც ერთისაგან ვერ მიიღეს.

საკოვს სცხვენოდა, რომ თვითღირებულება,ეს თითქოს ელემენტარული საკითხი, რომელსაც დღეში ათჯერ მაინც გაიგონებდა თვითეული მუშა, გაუგებარი იყო მასებისათვის; და ის (ალბათ) გამოეახა უკეთესი საშუალება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

წარმოუდგენელია იმაზე მეტი ქმაყოფილება, რომელიც განიცადა ამხ. საკოვმა, „პრავდა"-ს 4 ივნისის ნოემრის წაკითხვისას. იქ მან გაიცნო „სერპ ი მოლოტი"-ს გამოცდილება, რაც მდგომარეობდა თვითღირებულების საკითხზე კონფერენციის ჩატარებაში. მართალი რომ ითქვას, კიდეც ესიამოვნა, რომ სხვაგანაც ჰქონია მსგავს მოვლენას ადგილი.

საშუალება გამონახული იყო.

იმავე დღიდან, 7 ივნისიდან, პარტკომის ხელმძღვანელობით დაიწყო მზადება პარტკონფერენციისათვის თვითღირებულების საკითხზე.

გაიწალა მოსამზადებელი მუშაობა პარტჯგუფებში, უჯრედებში. გადაიტანეს საკითხი საწარმოო თათბირებზე. მუშები უდიდეს ინტერესს იჩენდენ. მოსამზადებელმა მუშაობამ ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ თვითღირებულებაზე ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ფაბრიკაში.

ერთხელ ამხ. საკოვმა საწ. თათბირზე განაცხადა, რომ მინდეკრად, ა ნაგვი უთობაში მოაგროვეს 238 საწელაქი, გადაყრილი იყო კითხვა, რომელმაც კონფერენციაზე ცენტრალური ადგილი დაიჭირა.

ამსჯელეს და გარკვეულ დასკვნამდე მიიდენ, დაამუშავეს წინადადებანი, რომელიც შემდგეში მდგომარეობს; ცალკე ცვლებისათვის მზადება საკუთარი ყუთები (ფოლაქის შესანახი), ყუთის ფოლაქების გარკვეული რაოდენობით, საწყობიდან იღებს ბრიგადირი. მუშაობის დამთავრების შემდეგ დაჩენილ ფოლაქების ბრიგადირი ინახავს მეორე ღღისათვის. კონტროლიორი ამოწმებს, თუ რამდენი დახარჯა ამა თუ იმ ბრიგადამ ფოლაქი და რამდენი უნდა დაეხარჯა. ალრიცხვა მოგვარებულია,

ასევე ნემსების შესახებ. მას იბარებს ცვლის მექანიკოსი, ხოლო ის ხელწერილის ქვეშ აძლევს ბრიგადიოს. ბრიგადირი ალრიცხავს აწარმოებს, თუ ვინ რამდენი ნემსი გატეხა და არკვევს ამის კონკრეტულ მიზეზებს.

ფაბრიკაში უკეთესი მდგომარეობა არც მანქანების დეტალების გამოყენების საქმეშია იყო. ის უთავბოლოდ ეყარა, ვისაც როგორ სურდა, ისე მოქონდა და, ამგვარად, სანაგვე ყუთში ბევრი საქირო დეტალი იყოდა თავს. ახლა დეტალების გაცემაც მექანიკოსებს დაევალა. ერთი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაც გაატარეს: მანქანების ახალ ნაწილებს საწყობი მანამ არ გასცემს, სანამ გაცვეთილ ნაწილებს არ ჩააბარებენ. ამან კარგი შედეგი მოგვცა.

მრავალი სხვა წინადადების დასახელება შეიძლება, მაგრამ აღნიშნულიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ კონფერენციისათვის მზადება მეტად ნაყოფიერად მიმდინარეობს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ მკერავტრესტის № 2 ფაბრიკას შეუძლია გეგმაზე მეტადაც შეამციროს თვითღირებულება. **მომხმარებელი მოითხოვს იაფ და, ამასთანავე, კარგ ტანსაცმელს.** კარგ ტანსაცმელს კი ფაბრიკა ყოველთვის არ იძლეოდა. თუნდაც ერთი ფაქტი: 1932 წ. ფაბრიკამ გამოუშვა 62 ათასი ერთეული ნაწნდებული მზა საქონელი. მთელი რიგი ღონისძიებები დასახეს და გაატარეს, რათა მსგავსი ამბავი არ გამეორებულიყო; მაგ.: ახლა მზა საქონელზე იძონიან პასპორტს, სადაც აღნიშნულია საქონლის რაოდენობა, ხარისხი, ზომა ფასი და ის, თუ ვის მიერაა დამზადებული. გაუპიროვნებას ადგილი არა აქვს. ვინც წუნდებულ საქონელს დაამზადებს—ვალდებულია ნიეთიერად აანაზღაუროს დახაკლისი.

წუნი—ეს ხომ უდიდესი ბოროტებაა, პირველ ყოვლისა ის მოქმედობს თვითღირებულებაზე, იწვევს გადახარჯვას.

— **წუნი უნდა ამოიშალოს ჩვენი ლეჭსკონვეიერიდან,** — ასეთი გადაწყვეტილებით ხვდებიან ფაბრიკის მუშები პარტიული კონფერენციის თვითღირებულების საკითხზე, რომელიც გაიხსნება 29 ივნისს.

რა არის თვითღირებულება და რა ელემენტებისაგან შესდგება იგი—ამ საკითხზე პასუხი უკვე გაცემულია. **შევამციროთ თვითღირებულება გეგმაზე მეტად, მივცეთ მომხმარებელს იაფი და კარგად შეკერილი ტანსაცმელი** — აი საკითხები, რომლებიც კონფერენციის მსჯელობის უმთავრესი საგანი იქნება.

ა. შ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1933 წლის მოსავლის ჯიშიანი ხორბლის დამზადებისა და 1932 წლის შემოდგომის სათესლე სესხად გაცემული ჯიშიანი ხორბლის დაბრუნების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ში ჯიშიანი ხორბლის და გაუმჯობესებული ადგილობრივი ხორბლის თესლის თესვის რაც შეიძლება საჩქაროდ შემოღების მიზნით წინადადება მიეცეს „საქმეთესლეობას"-ს — დამამზადოს 1933 წლის სეზონში 6.400 ცენტნერი ჯიშიანი ხორბალი („კოოპერატორკა" და „უკრაინკა") იმ 10.700 ჰექტარზე ასადები მოსავლიდან, რაც დათესილია ჩრდილოეთ კავკასიიდან და უკრაინიდან შემოზიდული და საქართველოში წარსული წლებიდან დარჩენილი სათესლე მასალით.

2. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო საჯილო ფონდად ჯიშიანი ხორბლის დამზადების გეგმა რაიონულად ზემოთ დამტკიცებულ იქნეს. აღნიშნული რაოდენობა დასამზადებელი სახელმწიფო საჯილო ფონდის ჩათვლის სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარების გეგმის ანგარიშში, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. მარტის 25-ის დადგენილებით „კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-10 №-ი, მუხ. 134).

3. დაევალოს „საქმეთესლეობას" 6.400 ცენტნერი ჯიშიანი ხორბლის დამზადებასთან ერთად ჩაატაროს აგრეთვე 1932 წლის შემოდგომის სათესლე სესხად გაცემული 24.800 ცენტნერი სათესლე ხორბლის მოგროვება; ძირითადი მასა ამ ხორბალისა მოგროვებულ უნდა იქნეს აპრობირებულ ფართობებზე დოკუმენტირებული ჯიშიანი მარცვლეულის სახით.

4. დაევალოს „საქმეთესლეობას", „საქტრაქტორცენტრს" და ბორჩალოს, ყარაიას, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, ხტალინისის, გორის, მცხეთის, ერწო-თიანეთის და დუშეთის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ჯიშიანი ნათესების მოსავლის დადგენილ ვადაზე აღებას და უზრუნველჰყონ მოსავლის აღების, გალეწვისა და ხორბლის შენახვის დროს შიჯიანობის სიწმინდე აკრძალონ რა ჯიშების შერევა.

5. მიეწეროს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—იმპაროს სათანადო ღონისძიებანი ამ ოლქის ტერიტორიაზე.

6. დაევალოს „საქმეთესლეობას", „საქტრაქტორცენტრს" და სარაიონო ორგანოებს — უზრუნველჰყონ:

ა) სათესლე სესხის დაბრუნება პურეულის ჩაბარების ვადებზე, რაც განსაზღვრულია ცალკეული რაიონებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის მარტის 25-ის დადგენილებით, და აგრეთვე 6.400 ცენტნერი ჯიშიანი ხორბლის ჩაბარება სახელმწიფო საჯილო ფონდში;

ბ) ჩასაბარებელი ჯიშიანი მარცვლეულის ჯიშიანობის სიწმინდის დაცვა;

გ) ჯიშიანი მარცვლეულის სათანადო სახწყობო სათავსებში შენახვა, რისთვისაც წინასწარ ჩატარებულ უნდა იქნეს ამ სათავსების მომზადება, დეზინფექცია და გაწყობა.

7. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, „საქართველოს რამის" ტრესტს, ყარაიას სამამე საბჭოთა მეურნეობას, აგარის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობას და სხვ. საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებს, რომელთაც მიმდინარე წელს აქვთ ჯიშიანი თესლეები, ჩაატარონ ნათესი მასალის ჯიშიანობის სიწმინდის გამოსაკვლევად, ჯიშიანი თესლით დათესილი ყველა ფართობის ნათესის აპრობაცია და ჩაამზარონ სახელმწიფოს, პირველრიგობის წესით, ეს მარცვლეული მათთვის დამტკიცებული პურეულის ჩაბარების გეგმის ანგარიშში (იმ საბჭოთა მეურნეობებმა, რომელთაც ჩაბარების გეგმა არა აქვთ, — ჩვეულებრივ მარცვლეულზე გაცვლით).

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მე-3 მუხლში ჩამოთვლილი იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც არსებობს ჯიშიანი ნათესები, საოსლე ფონდები დააგროვონ აღნიშნული თესლით, ხოლო იმ რაიონებსა და მეურნეობებში, სადაც ჯიშიანი ნათესები არ არის — მოაწყონ, „სატრაქტოროცენტრთან" ერთად, სარაიონოშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო ჯიშიანი მარცვლეულის ოპერაციები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „საქტრაქტორცენტრს" — ჩაატარონ ახრობაცია ჯიშიანი ხორბლის ნათესების გამოსარკვევად კოლექტიურ მეურნეობებში არა ნაკლებ, ვიდ

საგზაო მშენებლობის ერთთვიური

წარმატებით ჩავატაროთ შესრულებულ სამუშაოების მიღება

იწყება შესრულებულ სამუშაოების მიღება

საგზაო მშენებლობის, ერთთვიურმა რესპუბლიკის რაიონების უძრავლ ბაში ფართო გამოხმაურ ჰპოვა და მოსახლეობა უდი ენტუზიაზმით ჩაება გზების მშენებლობაში, თავისი შრომითი მონაწილეობით. ერთთვიურის პე იოდი იმ რაიონებში, რომლებსაც ედა არ ჰქონიათ დადებული თვარდება ახლა 1-ლ ივლისამდე, ამ რაიონებში იწყება მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებული სამუშაოების მიღება. მაგრამ ბისთვის შემოწმებით.

ამისათვის, სად ცალკან არ იქნა საგზაო მშენებლობის, ერთთვიურის ჩამტარებელი რესპუ იკომი შტაბის მიერ წინადადება აქვთ მიკემული რაიონმასკომებს და სარაიონო შტაბებს, რომ სამუშაობის მიღება აწარმოონ შემდეგი წესით:

სამუშაოების მიღება სარაიონო შტაბებმა უნდა დაიწყონ 25 ივნისიდან და დაამთავრონ სამ ივლისს. სამუშაოები მიღებულ უნდა იქნას სასოფლო საბჭოებში, რისთვისაც უნდა გამოიყოს სათანადო კომისიები.

სამი ივლისიდან ექვს ივლისამდე სარაიონო საგზაო განყოფილებები და სარაიონო შტაბები აჯამებენ რაიონში შესრულებულ სამუშაოებს და ატარებენ მათ ტეხნიკურ შემოწმებას. ყოველ ცალკე შესრულებულ ობიექტზე დგება შესაფერი აქტი, საქზატრანსის სპეციალისტის დასტურით.

ყოველგვარი მასალები ამის შემდეგ არა უგვიანეს 7 ივლისისა ეგზავნება რესპუბლიკანურ შტაბს.

15 ივლისს შესდგება რესპუბლიკანური შტაბის სხდომა, სადაც მოხსენილი იქნება საქზატრანსის მოხსენება საგზაო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმების შესრულებისა და ერთთვიურის შედეგებზე. ამავე სხდომაზე შტაბი მოისმენს ოზურგეთის, სიღნაღის, თიანეთის, ბორჩალოს, ორჯონიკიძის და ახალქალაქის რაიონმასკომების მოხსენებებს საგზაო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმების შესრულების შედეგებზე.

საქზატრანსმა უნდა მისცეს საჭირო მითითებები რაიონების საგზაო განყოფილებებს, რათა სამუშაოების მიღება და შემოწმება ჩატარებული იქნას უნაკლოდ და არ იქნას დაშვებული არავითარი შეცდომა.

საგზაო მშენებლობის ერთთვიურმა წელს უნდა მოგვიტანოს კარგი ხარისხის გზები.

ვიბრძვით მაღალი ხარისხის გზისათვის

(ტელეგრაფით ჩვენიდან 5)

საგზ. მშენებლ. ერთთვიურთან დაკავშირებით რაიონის ყველა მშრომელები განსაკუთრებული ენტუზიაზმით ჩაებენ საგზაო მშენებლობაში და ენერგიულად იბრძვიან მიცემულ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა არის გაშლილი ჩოხატაური-ბახმაროს გზაზე. ბოლშევიკური სიტყვას ვიძლევით, რომ ამ დავალებას შევასრულებთ ვაკაზე ადრე და უზრუნველვყოფთ გზის მაღალ ხარისხს.

ოპაიალმასკოვის თავმჯდომარე რე—ხუნდაძე
საგზაო განყოფილების გამგე— რამიშვილი.

გასაკეთებელი ბევრია, შტაბს კი სძინავს

(ქუთაისის რაიონიდან)

მიმდინარე წელს ქუთაისის რაიონში საგზაო მშენებლობის ხაზით საკმაო მოცულობის სამუშაოებია შესრულებული. მიმდინარე საგზაო მშენებლობის ერთთვიურის პრიორში საგზაო მშენებლობაზე უნდა დაიბარჯოს 8.000 კაც-დღე. ამ ძალებით, „საქზატრანსის“ ხაზით უნდა შეკეთდეს: წყალტუბოს, ხონის,ბაღდათის და ონრატის გზატკეცილები. სულ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე უნდა შეკეთდეს 59 კილომეტრი, რაზე უნდა დაიხარჯოს 861 კაც-დღე და 538 ურემ-დღე.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის ხაზით უნდა აშენდეს ახალი ყამირის გზები 0,9753 კილომეტრი და ხრეშიანი გზა 2.40 კილომეტრი, უნდა გაკეთდეს ხრეშიანი გზები 0,90 კილომ. და შეკეთდეს ასეთივე 3,40 კლმ. აგებული უნდა იქნეს 4 ახალი ხიდი. უნდა დამზადდეს 1572 კუბ. მეტრი ქვა, 4215 კუბ. მეტრი ხრეში და 4215 კუბ. მეტრი ხის მასალა, უნდა გაითხაროს თხრილები 6.225 კლმ. მანძილზე და სხვ. ყველა ამ სამუშაოების შესრულებაზე უნდა დაიხაოჯოს 6314 კაც-დღე და 2534 ურემ-დღე.

დავეხმაროთ ჩამორჩენილებს

(სტალინისის რაიონი)

1932 წლის საგზაო მშენებლობის გეგმა რაიონმა გადაჭარბებით შესრულა, რისთვისაც რაიონმა მიიღო ჯილდო. 1933 წელში საგზაო მშენებლობისათვის მზადებას რაიონი თავის დროზე შეუდგა.

საგზაო მშენებლობის ერთთვიურის გამოცხადებასთან დაკავშირებით მშენებლობა საგრძნობლად გაძლიერდა.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში საგზაო მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს, ცკვდებით ჯერ კიდევ სასოფლო საბჭოებს, რომლებიც სუსტად მუშაობენ გზებზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გაძოყენების დარგში. **დღემდე გზებზე მუშაობა სრულიად არ დაუწყიათ ღუდის, წრომის, წაღლის და ზღუდერის სახ. საბჭოებში. ჩამორჩენილი არიან: ოსიაურის, მოხისის, ავლევის, ქვიშხეთის, ტეზერის და ფლევის სახ. საბჭოები.**

არიან სამაგალითო სასოფლო საბჭოებიც. საგზაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ნამდვილი ბოლშევიკური ტემპებით იბრძვიან ზემო-ხვედურეთის საბჭოს წლიური გეგმა შესრულებული აქვს 61 პროცენტით და ბერეთის საბჭოს 52,4 პროცენტით, რისთვისაც საგზაო მშენებლობის რაიშტაბმა დაადგინა, რომ ზემო-ხვედურეთის და ბერეთის საბჭოები შეტანილ იქნენ წითელ დაფაზე, ხოლო ჩამორჩენილი საბჭოები კი ჩაითვლენ სამარცხვინო დროშის კანდიდატებათ.

საჭიროა ჩამორჩენილ სასოფლო საბჭოებისათვის სასწრაფო დახმარების გაწევა, რათა მათ შესძლონ ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევა. გ—ი.

300 ათასი მანეთი

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონი აქტიურად ჩაება მიმდინარე საგზაო მშენებლობის ერთთვიურში და გაშალა მუშაობა დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე პირველ ივნისისათვის შესრულებული იყო შემდეგი სამუშაოები: დაამზადეს 23.931 კუბ. მეტრი ქვის მასალა, ჩაატარეს მიწის სამუშაო 14.469 კუბ. მეტრის მოცულობით და შეასრულეს 295 კუბ. მეტრი ფიჩხწყნული სამუშაოები, რაც იძლევა წლიური გეგმის შესრულებას 80 პროცენტით.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა შირაქის გზის მშენებლობაზე. ამ გზისთვის საჭირო ქვის მასალების დამზადებაზე გათვალისწინებულია 374.350 მანეთის დახარჯვა, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით რაისაგზაო განყოფილებამ შესძლო ამ თანხის დაზოგვა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ფართოდ გამოყენებით.

შესრულებულ სამუშაოს ღირებულება უდრის 300 ათას მანეთს, რაც ჩაება სახელმწიფოს სალაროში.

უზრუნველყოფილია შრომითი მონაწილეობით დამზადებულ მასალათა ათვისება გზაზე მომუშავე ექსკავატორებით.

რაიონის ხელმძღვანელობა სიტყვას იძლევა, რომ იგი სავსებით შეასრულებს საგზაო მშენებლობის წლიურ გეგმას. მ. ჩ.

300 ათასი მანეთი

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონი აქტიურად ჩაება მიმდინარე საგზაო მშენებლობის ერთთვიურში და გაშალა მუშაობა დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე პირველ ივნისისათვის შესრულებული იყო შემდეგი სამუშაოები: დაამზადეს 23.931 კუბ. მეტრი ქვის მასალა, ჩაატარეს მიწის სამუშაო 14.469 კუბ. მეტრის მოცულობით და შეასრულეს 295 კუბ. მეტრი ფიჩხწყნული სამუშაოები, რაც იძლევა წლიური გეგმის შესრულებას 80 პროცენტით.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა შირაქის გზის მშენებლობაზე. ამ გზისთვის საჭირო ქვის მასალების დამზადებაზე გათვალისწინებულია 374.350 მანეთის დახარჯვა, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით რაისაგზაო განყოფილებამ შესძლო ამ თანხის დაზოგვა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ფართოდ გამოყენებით.

შესრულებულ სამუშაოს ღირებულება უდრის 300 ათას მანეთს, რაც ჩაება სახელმწიფოს სალაროში.

უზრუნველყოფილია შრომითი მონაწილეობით დამზადებულ მასალათა ათვისება გზაზე მომუშავე ექსკავატორებით.

რაიონის ხელმძღვანელობა სიტყვას იძლევა, რომ იგი სავსებით შეასრულებს საგზაო მშენებლობის წლიურ გეგმას. მ. ჩ.

დავჩქარდეთ დასასვენებელი სახლების მშენებლობა

ამჟამად საქართველოში შენდება ორმოცდასასვენებელი სახლი.—ერთი სურამს, მეორე წყალტუბოში.

სუსტი ფინანსირებისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის უყურადღებობის გამო მშენებლობა დღემდის საკმაო სისწრაფით ვერ წარმოებდა. წყალტუბოს დასასვენებელი სახლის პირველი კორპუსის მშენებლობა შესრულებულია 70 პროც., მეორე კორპუსის 16 პროცენტით. სურამის დასასვენებელი სახლის მშენებლობა შესრულებულია 20 პროცენტით.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება ახალი დასასვენებელი სახლების მშენებლობის შესახებ და წინადადება მისცა სოციალური ზევების კომიტეტს—შეამოწმოს მშენებლობის მდგომარეობა და შეუთანხმდეს მომარაგების კომისიასთან მშენებელ მუშათა მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

აღძრა საკითხი კომუნალური ბანკის მიერ 250 ათასი მანეთის რაოდენობით მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

საშენი მასალების განმანაწილებელი საქ. სახკომსაბჭოს კომისიის წინაშე აღძრა შეამდგომლობა მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ ფონდირებული მასალების აუცილებელი რაოდენობით.

სახინარ-კოოპერ. მშენებლობის მუშათა ავშირის ცენტრ. გამგეობას წინადადება მიეცა შეამოწმოს პროფორგანიზაციების მუშაობა წყალტუბოს და სურამში.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დირექტივი მისცა სოციალზევების კომიტეტს—წყალტუბოს დასასვენებელი სახლის პირველი კორპუსის 1-ლ აგვისტოს, ხოლო მეორე კორპუსის—15 სექტემბრისათვის დამთავრების შესახებ.

პირველი სექტემბრისათვის უნდა დამთავრდეს სურამის დასასვენებელი სახლის მშენებლობა (აღს).



ახალი ხიდი მდ. მტკვარზე

ტფილისში, მდ. მტკვარზე, შენდება ახალი ხიდი, რომელიც შეაერთებს სადგურის ჭუჩას საბურთალოსთან. ახალი ხიდის აგება შესაძლებელი გახდება არსებული ხიდების განტვირთვა. ამასთანავე ერთად საბურთალოსა დაუკავშირდება ქალაქის სხვა ნაწილებს (ამ ჟამად მიმოსვლისათვის გამოყენებულია ბორანი) სურათზე — საშენებელი მასალის გადასაზიდი ონკანი, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჯებირის აგება და კედლის დაბეტონება.

თვითმფრინავი „პ—5—ლ—508“ უკან გრუნდება

პიატიგორსკი, 26 ივნისი. არამავირში ავარდნილმა ძლიერმა ქარიშხალმა აქ შეაჩერა თვითმფრინავი „პ—5—ლ—508“, რომელმაც მოახდინა გადაფრენა 25 ივნისს კავკასიის ქედზე. იძულებითმა დაშვებამ შეაფერხა თვითმფრინავის ჩასვლა მოსკოვში იმავე დღეს, თუმცა გადაფრენისათვის სრული შესაძლებლობა არსებობდა. ამგვარად მთავარი ამოცანა — კავკასიონის ქედის გადალახვა საბჭოთა კონსტრუქციის თვითმფრინავით ბრწყინვალეთ იქნა გადაჭრილი.

გზა ტფილისი — ორჯონიკიძე (კავკაზი) საბჭოთა თვითმფრინავმა „პ—5—ლ—508“ განვლო 2 საათს და 30 წუთში. ეს ტრასი, როგორც გადაფრენამ ცხადყო, ბევრად უფრო შესაფერისია წინად დასახულ ხაზზე ტფილისი — გორი — დარგკოხი და სრულ საშუალებას იძლევა დაწესდეს ფრი — ეჭსპრესი ტფილისი — მოსკოვი ჯვარის უღელტეხილით და ორჯონიკიძეზე გავლით.

აკადემიკოსი ვედენეევი რიონჰესზე

ქუთაისი, 25 ივნისი. (საკ. კორ.) საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახ. კომისარის ამხ. **ორჯონიკიძის** დავალებით 20 ივნისს რიონჰესზე ჩამოვიდა დნეპრომშენის და ვოლგამშენის მთავარი ინჟენერი აკადემიკოსი **ბ. ე. ვედენეევი.** მისი ჩამოსვლის მიზანია რიონჰესის მშენებლობის და მისი ტეხნიკური მდგომარეობის გაცნობა აკად. ვედენეევმა უკვე დაათვალიერა მშენებლობის ყველა უბნები, გაეცნო ნაგებობებს და მონტაჟის სამუშაოებს, დაწვრილებით განიხილა მშენებლობის პროექტები და მშენებლობის გეოლოგიური საფუძვლები..

23 ივნისს აკად. ვედენეევი ინჟ.-ტეხნიკოსთა თათბირზე გამოვიდა მოხსენებით დნეპრომშენის და აგრეთვე ვოლგამშენის ჰიდრო-სადგურების მშენებლობის შესახებ. გუშინ აკად. ვედენეევი გაემგზავრა მოსკოვში.

ვ. ლ—ი.

მარგანეცი

23 ივნისს ჭიათურის მაღაროებში ამოიღეს 3.078 ტონა მარგანეცი—გეგმის 84 პროც.

მაღაროების ჯგუფი	ამოღება: დაგეგმილება	შესრულება	პროცენტი
პირველი	1.990	1.703	85,6
მეორე	1.671	1.375	82,3
გარეცხვა			
პირველი	855	682	80
მეორე	864	898	104

ნატახტარის წყალსადენის ამუშავების წინ

სათავის ნაგებობების გახსნა

ნატახტარის წყალსადენის სათავეს ნაგებობათა საზეიმო გახსნა შესდგება 30 ივნისს, დღის სრულ 12 საათსა და 30 წუთზე. ამ დროისათვის გამოშვებული იქნება წყალი მთავარ წყალსადენში, რის აღსანიშნავადაც შესდგება მიტინგი. მიტინგს დაესწრებიან მთავრობის, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოწვეული სტუმრები ტფილისიდან უნდა გაემგზავრონ დილის 11 საათამდე.

ნატახტარის წყალსადენის საზეიმო გახსნის ხელმძღვანელი კომისია სთხოვს ყველა მოწვეულთ, მიტინგზე გასამგზავრებლად გამოცხადდნენ ტფილისის საბჭოში დილის 10 საათიდან 11 საათამდე. ნატახტარში სტუმრების გასამგზავრებლათ, ამ დღისათვის მობილიზებულია ქალაქის ყველა ავტომუსები.

ამავე დროისათვის უნდა გამოცხადდნენ ტფილისის საბჭოში ტფილისის საწარმოების მუშებისაგან, ნატახტარის წყალსადენის გახსნაზე დასასწრებათ ამორჩეული დელეგატები.

წყალსაძაწი სადგურის გამოცდა და მთავრდა

გუშინ, 26 ივნისს, დამთავრდა ნაძალადევში ახლად აგებული ნატახტარის წყალ საქარი სადგურის გამოცდა. სადგურის ძალოვნება უდრის 1005 ცხენის ძალას, პირველი ელექტრო-ტუმბოს ამუშავებამ კარგი შედეგები მოგვცა და იგი საბოლოოდ გამოცდილი მიღებულ იქნა 25 ივნისს. მეორე ელექტრო-ტუმბოც გამოცდა სწარმოებდა გუშინ და მანაც კარგი შედეგები მოგვცა.

აღნიშნული წყალსაქარი სადგურის გამოცდის დასრულებით, დამთავრებულია წყალსადენის ამუშავებისათვის საჭირო მთელი წინასწარი სამზადისი.

დიდი შადრევანი თავისუფლების მოედანზე

ნატახტარის წყალსადენის ამუშავებისა და ქალაქისათვის წყალის მიწოდების დაწყებას აღსანიშნავად, გუშინ თავისუფლების მოედანზე შეუდგენ დიდი შადრევანის მოწყობას. შადრევანი შნად იქნება 30 ივნისისათვის და იგი წყლის ნაკადს აისვრის ტფილისის საბჭოს შენობის სიმაღლეზე.

შადრევანის მოწყობას ხელმძღვანელობს ინჟ. ვ. ჭავჭავაძე, ხოლო მის გასაფორმებლათ მოწვეული არიან მხატვრები.

ნატახტარის წყალსადენის მხატვრული მორცხვა

ნატახტარის წყალსადენის საზეიმო გახსნის ხელმძღვანელმა კომისიამ მოიწვია მხატვარი ლ. გუდიაშვილი, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღ. ნატახ. ნაგებობათა მორთვის. წყალს გაშვების აღსანიშნავად. მორთული იქნებიან წყალსადენის ყველა ნაგებობანი—მთავარი კოლექტორიც, სამოვნო კამერა, დიუკერები, აქვედუკები, გვირაბები, აუზები, ბოლო ნაგებობები და სხვა.

წყალსადენის გახსნის ზეიმი გადაიტანება იქნება კიროსათვის. 28 ივნისიდან, ტფილისში უკვე დაიწყება წყალსადენის მშენებლობის კინო-სურათის დემონსტრაცია, საზეიმო გახსნის სურათი ნაჩვენები იქნება 1-ლი ივლისიდან.

ქრონიკა

— **მომღერალთა გუნდის კონცერტი.** კოოპერაციის და სახვაჭრობის კავშირთან არსებულ მომღერალთა გუნდის კონცერტი შესდგება აღმშენებელთა კლუბში (პლეხანოვის პრ., 65) 27 ივნისს.

— **დილისპუტი „არსენა მარაბდელზე“.** პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა კლუბის შენობაში 27 ივნისს აწყობს დისპუტს **მ. ჯავახიშვილის რომანზე „არსენა მარაბდელი“** შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. მალაქია ტოროშელიძე. მომხსენებელი,— **სომონ ხუნდაძე.** სპორტოლო სიტყვით გამოვა ავტორი. დასაწყისი სალამოს 7 საათზე. შესვლა თავისუფალია.

— **სამეცნიერო საბჭოს პლენუმი.** დღეს, სალამოს 8 საათზე, შესდგება პედაგოგიურ პიდოლოგიური ინსტიტუტის (კამოს ქუჩა 59) სამეცნიერო საბჭოს პლენუმი. დღის წესრიგი: ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები და პერსპექტივები. ხომხს. პროფ. გ. თავზარაშვილი. დასწრება თავისუფალია.

საქ. სახელმწიფო სას.-სამ. ინსტიტუტში მიღების პირობები

1933-34 სამოსწავლო წლისათვის

სასოფლო-სამ. ინსტიტუტი ამზადებს სოციალისტური მიწათმოქმედების უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს 1) ინჟენერ მექანიზატორებს, 2) მებაღე-მევენახე — მებოსტნეებს, 3) მემინდვრეებს და 4) მეაბრეშუმეებს:

1) სასოფლო-სამ. ინსტიტუტში მიიღება მოქალაქე 17-დან—35 წლამდე.

2) მიღება იწარმოებს ოთხივე ფაკულტეტზე.

3) სავალდებულოა შემდეგი საგნების (მუშაკის კურსის მოცულობით) ჩაბარება: შობლიური ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და საზოგ. მეცნიერების.

4) მისაღებ გამოცდებს ატარებს ყველა მსურველი, მიუხედავად იმისა, რომელი სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

5) რაიონებიდან, განაწილების მიხედვით მოვლინებული ნაკუმცირესობანი, მოვლინების გარეშე მუშა-დაქცვრელები და მათი შვილები გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში მიღებული იქნებიან ინსტიტუტში.

6) განცხადება გამოცდებზე დაშვებათ შემოტანილი უნდა იქნეს ინსტიტუტის დირექციის მისამართით ფაკულტეტის აღნიშვით და შემდეგი საბუთების დართვით: ა) საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა, ბ) დაბადების მოწმობა მშობლის მიერ შემოწმებული ან მეტრიკული ამონაწერი, გ) მოწმობა სოციალური წარმოშობის და ტრაქტორისტის უფლების მოწმობა.

8. გამოცდები იწარმოებს 5—20 აგვისტომდე.

9) ინსტიტუტში ჩარიცხულები საერთო საცხოვრებლით დაკმაყოფილებიან განსაკუთრებული საჭიროების მიხედვით, სტიპენდიები მიეცემათ თანახმად არსებული წესისა.

10) ინსტიტუტში მეცადინეობა იწყება 1-ლ სექტემბერს, დაგვიანებული სტუდენტები მიეწერებიან ცალკეულ წარმოდგინებით ინსტიტუტიდან.

დირექტორი ვლ. ცაბაძელი.

ოფიციალური განკოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 13 №-ი, მუხ. 103 და 104; №-20 №-ი, მუხ. 164; 23 №-ი, მუხ. 223, 1933 წლის №-5 №-ი, მუხ. 74) მოქმედება ვადა განვრძობილ იქნეს 1933 წლ. სექტემბრის 1-მდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: შ. მახარაძე.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: გ. მგალობლიშვილი.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: თ. ყლენტი.

სახოპერა. 29 ჩ 30 ივნისს
ოპერეტის მსოლოთ 2 წარმოდგენა
მხიარული ქვრივი
3 მოქ. მუსიკა—ლეგარის.
მე-2 მოქმედებაში „ელექტრონის საქანელა“
მე-3 მოქმედებაში „მაძსიმთან“ „ჯაზ-ბანდ“-ის სრული შემადგ.
ახალი ამერიკული ცეკვები.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღამოს 8 ს.—30 წ.
ბილეთები იყიდება.

მარჯანიშვილის სახ. თეატრში კიდევ ერთხელ
27 ივნისს
დამსახურებულ მსახიობთა ლადო კავსაძის და ვასო ურუშაძის მონაწილეობით დაკლებულ ფასებში
არშინ მალ-ალან
ბილეთები სალაროში. დასაწყისი 9 საათზე. ნ. 110

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:
საზაფხულო: ეთერი 9, 11 — საქ. სახკ. ნაწარმ. სურამის ცისე პრ. გარ.—სკ ყურნ. № 14
დამკვრელი 9, 11. — მხატ. სურათი აელიტა
ტემპი 9, 11. — მხატვრ. ფ. ტრიპოლის ტრაგედია პროგრამის გარეშე—სკ № 13.
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30. — საქ. სახკ. ნაწარმ სურამის ცისე პრ. გარეშე—სკ. ყურნ. № 11.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11. — სურათი მის მენდი მე-3 სერია
ზამთარი: რ. ლიუბიმოვრის 7, 9, 11 — ცნობილი ფ. ახალი ცხოვრებისაკენ პროგრ. გარ.—სკ № 15.
ოპერეტა 6-30, 8-30, 10-30 — სათავგადასავალო ფილმი მის-მენდ მე-2 სერია
სახავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე — მხ. სახ. ფილ. კაცი უფუტლიაროთ პრ. გარ. პიონერთა ყურ. № 5.
მეცნიერება და ტეხნიკა 8, 9-30 — ეთნოგრ. ფილმი ტქის ხალხი პრ. გარ.—კოლმეურნეთა ყრილობა

ექიმი ქ. ი. ჯალალოვი ცნის და ვენერ. ავათმყ. სიფილისი, ტროპერი ტ -მისი შედეგების მკურნალობა. შიღება: მამაკაც. 8—9 ს. დილ., 7—8 ს. საღამოს, ქალების 6—7 ს. საღ. კამოს ქ. № 19, ტელ. № 29—50. 25—10

ექიმი გ. ნ. ონანოვი სიფილ., ვენერიული და კანის სუღლებანი. სქე სობრ. სისუსტ. მკურნალობა. ავადმყოფთა მიღება დილ. 9—12 ს. საღ. 5 ნან. 8 ს. ნინო შეილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5, ფაბრიკა „მკერავი“-ს პირპირ. და 25—6

ექიმი ჭ. ა. ქაქაბაძე მიღება ავადმყოფების და მკურნალობა სპეციალურად ბავშვთა სნეულებაში. ლენინის ქ 17. 51— 794

არტელი „სინათლე“ უძღვება
და უძართდება არტელ „საფეიქრო“-ს. ყოველივე პრეტენზიებით რაიმე საქმიანობაზე, უნდა მიმართოთ 10 ივლისამდე ყოფ. არტელ „სინათლის“ გამგეობას (ხითოროვის ყ. ქარვასლაში), რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
არტელ „საფეიქრო“-ს გამგეობა.
1205

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ.
მუშკოოპ. წიგნაკები: რაფიელ აღლაძის № 27954, პოლიექტორ გაჩეჩილაძის № 991212, მანასე მენაბდის № 232, მინა დვალის, იოსებ ჭყოვრელის № 42392, ირაკლი წულაიასი № 858.
სამხედრო წიგნაკები: ალექსანდრე ჩიბლაძის, ვასილ მაჩაიძის, გიგუშა მიტიჩაშვილის, ჩიხელიძე სავლესი.
კავშირის წიგნაკები: ირაკლი ამირეჯიბის, მინა დვალის, სანდრო გოგოლაშვილის № 832289, მიხეილ ასათიანის.
სხვა და სხვა: დაზღვევის წიგნაკი და შენახველ სალაროს წიგნ. და სხვა და სხვა საბუთები სანდრო გოგოლაშვილის, ტეტრიკული ამონაწერი ნიკო გაბახიძის, ზაკტპოს საწ. წიგნ. № 5466 დიომიდე ურუშაძის, პარტწიგნაკი № 0865113 და დამკვრელობის წიგნაკი იოსებ ჭყოვრელის, სასწავლებლის მოწმობა და პარტმუშაობის დახასიათება პლატონ ხარაიშვილის, ფეხსაცმელის შეკეთების ქვითარი და პირად. მოწ. ალიოშა გვინჩიძის, ა. ლ. ჯ. ჯ. მანდატი № 6935512 პოლიექტორ გაჩეჩილაძის, პასპორტი და დაზღვევის წიგნ. ირაკლი ამირეჯიბის, გლეხკომის მანდატი, დაზღვევის წიგნ. გლეხკომის წიგნ. და სხ. და სხ. ქვითრები ძოკო კვანტალიანის, 7 წლ. დამთ. მოწ. № 44 ბიქტორ თაკვარელიანი, არტელის წევრობის მოწმობა № 24, პირად. მოწ. დაზღვევის წიგნ., სამსახურის სტაჟის მოწმობა მინა დვალის, ს. ჯ. ჯ. (ბ) მანდატი № 2556348 ვანია მასურაშვილის.
№ 13

აკ ჯაბუყენებითი ენერგიის ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები გამოსთქვამენ მენ მწუხარებას ინჟენერ როყოფას ბავშვის პატარა ნ ე ლ ი კ ო ს
უდროოდ დაკარგვის გამო. 192

განათლ.საბჭომისარიატის ნებართვით ზაფხულში
ვამზადებთ მოწაფეებს
უმაღლ. სასწ-ში, ტეხნიკუმებში და მუშფაკებში შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის.
პირობები გაიგება: თბილისი, კარგარეთელის ქ. № 3-A, 1-ლი სართული მარცხნივ (ყოფ. პირაგოვის ქ.) კინო „ოქტომბრის“ მახლობლად.
ნახვა: დილით 8 ს-მდე, საღ. 4—7 ს-მდე.
5—3 1059

კბილის ექიმი
დ. ხ. რიჭინაშვილი
კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება ყველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება 10—3 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე.
25—10

მათემატიკის მასწავლებელი მაჩაიძე
ამზადებს რუსულსა და მათემატიკაში
10 წლედის პროგრამით და ყველა საგნებში შვიდწლედის პროგრამით. პლეხანოვის პროსპ. № 25, შესავალი კუთხიდან, ჩერნიშევის ქ. № 5 (ყ. ალექსის) 9—1 საათამდე. 2—1

გაუბედურებული მშობლები: მოსე, მარო, მამიდა კაკალა, ბიძა ვალერიანი როყუები, დეიდა ანიკო კურდღელაშვილი იუწყებიან მათთვის ძვირფას საყვარელ გოგონა
ნელიკო რ ო ყ უ ა ს
უდროოდ დაკარგვის გამო. 192

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრო-ორთქვანების და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქ. (ყოფ. საპაორის) 19, იღებს დილით 10—1 ს. და საღ. 6—8 ს. შესავალი ძნელაძის შესახვევიდან.
25—11

ს. ა. დიუელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.
საბის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22, 13—4

ექიმი
ცერ-ოვარიოზი
განაახლა მიღება
ნევროზები (სქესობრივი ფუნქციონალური ნერვიული მოშლილობა) და ბიფილისის ჰიპოტერაპია დილის 11—12 ს., საღ. 7—8 ს. ა-ქ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22.
0—11 1007

გაუბედურებული მშობლები: პელაგი, ალექსანდრე. ძმა გიორგი ცოლშვილით. დები მარო, ტასო ქმარშვილებით იუწყებიან, რომ 28 ივნისს ჯუმ.-თში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ
რაჟდენ და ალიოშა დარჩიებიის
ხსოვნის აღსანიშნავად. 198

დამწუხრებული ცოლი ნადია, შვილები ბუბუტა, მაყვალა, სიდედრი პელაგია იუწყებიან
პოლიკარპე სიმონის-ძე კანდელაკის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28 ივნისს, სად. თელავიდან. დაკრძალვა თბილისში 29 ივნისს 4 ს. ტფილისის სადგურიდან ვერის სასაფლაოზე. 204

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო ორგანიზაცია ურყომეს მწუხარებას გამოსთქვამს საუკეთესო ბოლშევიკის, მტკიცე ლენინელის, ურყევი მებრძოლის ამხ.
ანტონ ჩხეტიანის
ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 200

ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის დირექცია და მუშკომი ურყომეს მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომელ იპირველი უბნის აგრონომის
მელიტონ მოძიას
უდროოდ დაღუპვის გამო. დაკრძალვა 27 ივნისს ს. ჯურუყეთში (გურია). 195

საქ. კ. პ. (ბ) ხარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბიუროო კოლექტივი და აღკ კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან მეურნეობის პირველი უბნის აგრონომ-სპეციალიტ ამხანაგ
მელიტონ მოძიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ივნისს ს. ჯურუყეთში. 195

გაუბედურებული მშობლები: პარმენი, ბაბილინა, ბებია პიპია, ბაბუა პავლე და ვერა, ძმა დათიკო კახიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უძვირფასესი ინჟენერი
ზოთა პარმენის-ძე კახიძე
დაკრძალვა 27 ივნისს. 5 ს. ჭუთაისში, ლენინის ქ. მეოთხე შესახვევი. 191

ღრმად დამ